





1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ოთხი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი. მოსწავლემ წაშალა მასწავლებლის მიერ დაწერილი რომელიღაც ერთი რიცხვი. ამის შემდეგ დაფაზე დაწერილი დარჩა რიცხვები: 2; 4; 5. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) რამდენი რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?  
1) ერთი                      2) ორი                      3) სამი                      **4) ოთხი**                      5) ხუთი


 ბ) რამდენი რიცხვი წაშალა მოსწავლემ?  
**1) ერთი**                      2) ორი                      3) სამი                      4) ოთხი                      5) ხუთი

 გ) რა რიცხვი წაშალა მოსწავლემ?  
1) 1                      **2) 3**                      3) 6                      4) 7                      5) ამის გაგება შეუძლებელია


2) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა რიცხვები: 45; 56; 54; 65; 55; 64.  
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) რომელია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილ რიცხვებს შორის ყველაზე დიდი?  
1) 56                      2) 55                      3) 64                      4) 54                      **5) 65**


 ბ) რომელია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილ რიცხვებს შორის ყველაზე პატარა?  
1) 56                      2) 54                      3) 55                      **4) 45**                      5) 65

 გ) მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რომელი ორი რიცხვის ჯამია 100-ის ტოლი?  
1) 56-ის და 54-ის                      2) 45-ის და 65-ის                      3) 55-ის და 65-ის                      **4) 45-ის და 55-ის**                      5) 64-ის და 56-ის

3) მაგიდაზე დევს 3 ყუთი: ყვითელი, წითელი და ლურჯი. ამ ყუთებში ყვითელი, წითელი და ლურჯი ბურთები დევს (თითოეულ ყუთში ერთი ბურთი დევს). არცერთ ყუთში არ დევს იმ ფერის ბურთი, რა ფერისაა არის ყუთი. ცნობილია, რომ ყვითელ ყუთში დევს წითელი ბურთი.  
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) რა ფერის ბურთი დევს ყვითელ ყუთში?  
1) მწვანე                      2) ლურჯი                      3) ყვითელი                      **4) წითელი**                      5) თეთრი

 ბ) რა ფერის ბურთი დევს ლურჯ ყუთში?  
1) წითელი                      2) თეთრი                      3) ლურჯი                      4) მწვანე                      **5) ყვითელი**

 გ) რა ფერის ბურთი დევს წითელ ყუთში?  
1) წითელი                      2) თეთრი                      **3) ლურჯი**                      4) მწვანე                      5) ყვითელი

4) ბებია თავის ორ შვილიშვილს, რომლებსაც კანფეტები არ ჰქონდათ, კანფეტები მისცა. უფროსმა შვილიშვილმა 16 კანფეტი შეჭამა, უმცროსმა კი – 28. ამის შემდეგ უმცროს შვილიშვილს კანფეტები საერთოდ აღარ დარჩა. უფროს შვილიშვილს კი იმდენი კანფეტი დარჩა, რამდენიც უმცროსმა შვილიშვილმა შეჭამა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი კანფეტი შეჭამა უმცროსმა შვილიშვილმა?

- 1) 16      2) 28      3) 32      4) 44      5) 56



ბ) რამდენი კანფეტი შეჭამა უფროსმა შვილიშვილმა?

- 1) 16      2) 28      3) 32      4) 44      5) 56



გ) რამდენი კანფეტი დარჩა შესატყელები ორივე შვილიშვილს ერთად?

- 1) 16      2) 28      3) 44      4) 60      5) 72



დ) რამდენი კანფეტი მიუცია ბებიას ორივე შვილიშვილისთვის ერთად?

- 1) 16      2) 28      3) 44      4) 60      5) 72



5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია დანარჩენებზე მეტი?

- 1) ოთხმოცის წინა რიცხვი      2) 1 ათეული და 3 ოცეული      3) 6 ათეული და 7 ერთეული

- 4) 7 ერთეული და 8 ათეული      5) 4 ოცეული და 3 ერთეული



6) დედამ მაიას ფული მისცა. მაიამ მთელი ამ ფულით 2 სამლარიანი ნაყინი და 1 ათლარიანი შოკოლადი იყიდა. რამდენი ლარი მიუცია დედას მაიასთვის?

- 1) 3 ლარი      2) 6 ლარი      3) 10 ლარი      4) 12 ლარი      5) 16 ლარი



7) ქვემოთ მოცემული რომელი ორი რიცხვის ჯამია 8-ის წინა რიცხვი?

0; 1; 3; 4; 5.

- 1) 2-ის და 5-ის      2) 4-ის და 5-ის      3) 1-ის და 5-ის      4) 3-ის და 4-ის      5) 0-ის და 5-ის



8) ლაშას აქვს ორი ცალი 20-თეთრიანი. რამდენი 10-თეთრიანი აკლდება მას ორი ცალი 50-თეთრიანი ბლოკნოტის საყიდლად?

- 1) 60      2) 30      3) 8      4) 6      5) 3




9) კატომ 15-ს რომელიღაც რიცხვი გამოაკლო და მიიღო ყველაზე პატარა ორნიშნა რიცხვის წინა რიცხვი. რა რიცხვი გამოაკლო კატომ 15-ს?

- 1) 11      2) 10      3) 9      4) 6      5) 4




10) თაროზე წიგნები ეწყო. გიამ თაროდან წიგნების ნახევარი გადმოიღო, რის შედეგადაც თაროზე 9-ზე ერთით მეტი წიგნი დარჩა. რამდენი წიგნი გადმოუღია თაროდან გიამ?

- 1) 9      2) 10      3) 11      4) 18      5) 20

 11) ლადომ ჩაიფიქრა რიცხვი. მან ამ რიცხვის შესახებ თქვა ორი წინადადება:


1. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი არის ან 8, ან 9, ან 11.
  2. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი მეტია 10-ზე და ნაკლებია 20-ზე.
- რა რიცხვი ჩაიფიქრა ლადომ, თუ მას ტყუილი არ უთქვამს?


- 1) 8                      2) 9                      3) 11                      4) 15                      5) 19

 12) ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?


- არსებობს ისეთი ორნიშნა რიცხვი, რომელიც ათით მეტია 89-ზე;
- არ არსებობს ისეთი ორნიშნა რიცხვი, რომელიც ორით მეტია 99-ზე;
- არ არსებობს ისეთი ორნიშნა რიცხვი, რომლის უახლოესი ათეული არის 100;
- არსებობს ისეთი ორნიშნა რიცხვი, რომელიც ერთით მეტია 99-ზე.

- 1) ერთი                      2) ორი                      3) სამი                      4) ოთხი                      5) არცერთი

 13) მაგიდაზე ასანთის ღერებით არასწორი უტოლობა იყო აწყობილი (სურათი 1). ლაშამ ასანთის მხოლოდ 1 ღერი აიღო, რის შედეგადაც ჭეშმარიტი (სწორი) უტოლობა მიიღო. ქვემოთ მოცემული რომელი უტოლობა შეიძლება მიეღო ლაშას? (გაითვალისწინეთ, რომ ლაშას ასანთის სხვა ღერებისთვის ხელი არ უხვლია)



- 1)  $5 > 9$                       2)  $5 > 3$                       3)  $6 > 4$
- 4)  $5 > 4$                       5)  $6 > 5$

 14) თემოს მარჯვენა ჯიბეში 65 თეთრი ჰქონდა, მარცხენაში კი – 90. მან მარჯვენა ჯიბიდან 5-თეთრიანი ამოიღო, მარცხენადან კი – 10-თეთრიანი. ამოღებული ფულით თემომ 15-თეთრიანი კანფეტი იყიდა. რამდენი თეთრი უნდა გადადოს თემომ მარცხენა ჯიბიდან მარჯვენაში იმისათვის, რომ ორივე ჯიბეში თანაბარი რაოდენობის ფული ჰქონდეს?

- 1) 25 თეთრი                      2) 20 თეთრი                      3) 15 თეთრი                      4) 10 თეთრი                      5) 5 თეთრი